**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის**

**ოქმი № 2**

ქ. თბილისი

23/05/2025

19:00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. **გიორგი ოქიტაშვილი**
2. **ზურაბ გოგშელიძე**
3. **აკაკი მიქაბერიძე**
4. **ვალერი არღუთაშვილი**
5. **მერი კაპანაძე**
6. **მიხეილ ჭიღლაძე**
7. **თემურ ცაგარეიშვილი**
8. **პავლიკა ჯაგუნავა**
9. **მირანდა მიქაძე**

2025 წლის 23 მაისს, 19:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211 აუდიტორიაში გაიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეორე სხდომა.

1. <u>სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ დებულების დამტკიცება</u>

კომისიის მდივანმა, მიხეილ ჭიღლაძემ, კომისიას 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პროცედურების დაზუსტებისა და განსაზღვრის მიზნით, წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ დებულების პროექტი, რომელიც კომისიის წევრებმა განიხილეს, გარკვეული ცვლილებები შეიტანეს და შემდგომ კენჭი უყარეს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 9**

**წინააღდეგი - 0**

**გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.**

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს დებულება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ

2. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.</u>

კომისიის წევრებმა, პავლიკა ჯაგუნავამ და თემურ ცაგარეიშვილმა, კომისიას წარუდგინეს საარჩევნო დოკუმენტაციის პროექტები, მათ შორის, სარეგისტრაციო ჟურნალი, დამკვირვებელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი ფორმები, განცხადება/საჩივარი/დარღვევის ოქმი, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი და შესწორების ოქმები და ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები განსახილველად. კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ დოკუმენტებზე და შემდგომ უყარეს კენჭი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 9**

**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად**

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნების ჩატარებისათვის საარჩევნო დოკუმენტაცია დანართების შესაბამისად.

3. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის კანდიდატთა რეგისტრაცია.</u>

კომისიის წევრმა, მირანდა მიქაძემ, კომისიას წარუდგინა არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განცხადებები და გამომდინარე იქიდან, რომ თითოეულმა განმცხადებელმა დოკუმენტაცია წარმოადგინა დადგენილი წესის მიხედვით, კომისიამ კენჭი უყარა მათ კანდიდატებად რეგისტრაციის საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე - 9**

**წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად**

**დაადგინეს:**

დანართის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია.

**თავმჯდომარე:**

ვალერი არღუთაშვილი

**მდივანი:**

მიხეილ ჭიღლაძე

<u>დანართი</u>

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ**

**დებულება**

**მუხლი 1. საუბნო საარჩევნო კომისია**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისია (შემდგომში - საარჩევნო კომისია/ცენტრალური საარჩევნო კომისია/ცესკოს) უნივერსიტეტის ფაკულტეტებსა და დამოუკიდებელ-სამეცნიერო კვლევით ერთეულების დონეზე კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად ქმნის საარჩევნო ქვეკომისიებს (შემდგომში - საუბნო საარჩევნო კომისიებს).
2. საუბნო საარჩევნო კომისია, ფაკულტეტებზე შედგება 6 წევრისაგან, რომელთაგან საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე აირჩევა კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. საუბნო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით მოიწვევა საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივნის არჩევამდე, სხდომას თავმჯდომარეობს კომისიის უხუცესი წევრი. პირველი სხდომის ჩატარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს საარჩევნო კომისია.
3. საარჩევნო კომისია და საუბნო კომისიები კომპეტენციის ფარგლებში მინიჭებული უფლებამოსილებათა დამოწმების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი (სენატის) საბჭოს წევრთა არჩევის წესის დანართისა და წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის მიზნით სარგებლობენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის/საუბნო კომისიის ბეჭდით.

**მუხლი 2. საუბნო საარჩევნო კომისია წევრთა უფლება-მოვალეობები**

1. **საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე** უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურის დადგენილი წესით წარმართვას, წესრიგის დაცვას, ნაკადის მოწესრიგებას და საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე წევრის ჩანაცვლებას. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია პირს მიუთითოს საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობისათვის ხელისშეშლის აღკვეთის თაობაზე, გააფრთხილოს ხარვეზისა და დარღვევის შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი აქტისას კომისიასთან შეთანხმებით უზრუნველყოს საარჩევნო უბნიდან გაძევება, აღნიშნული

საკითხი მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აუცილებლობისა და შეთანხმების საფუძველზე, სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით (მიზეზის, დროისა და ხელმოწერის აღნიშვნით) ასრულებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი თავმჯდომარის თანხმობით ამომრჩეველზე გაფუჭებული/დაზიანებული ბიულეტენის შეცვლის მიზნით გასცემს ახალ ბიულეტენს (სასურველია მოხდეს აღნიშნულის აღრიცხვა), ხოლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს უკანა გვერდზე აწერს გაფუჭებულია და ცალკე ინახავს.

2. **საუბნო საარჩევნო კომისიის მოადგილე** უზრუნველყოფს სპეციალური კონვერტებისა და საარჩევნო ყუთის ზედამხედველობას.
3. **საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი** უზრუნველყოფს სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას, დარღვევის ოქმების (საჩივრების)/განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციასა და თანმდევი პროცესების აღწერას, და საჭიროების შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით ითავსებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. ასევე, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
4. **საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი** უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მონაცემების შემოწმებასა და რეგისტრაციას,საარჩევნო ბიულეტენზე ბეჭდის დასმას და ხელმოწერას, საარჩევნო ბიულეტენის ამომრჩეველზე გაცემას, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით უზრუნველყოფს გაცემული ბიულეტენისა და ხელმოწერების გადათვლას და თავმჯდომარისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო გაცემული, გამოუყენებელი ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა ხელმოწერების მითითება დროის აღნიშვნით სასურველია სარეგისტრაციო ჟურნალში. შეუსაბამობის შემთხვევაში ახსნა-განმარტებას წერს რეგისტრატორი.
5. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ზემდგომი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ უბანზე დახმარებას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ნაკადის მოწესრიგებაში, წესრიგის დაცვასა და პროცედურების დადგენილი წესით წარმართვის მიზნით წესებზე მითითებაში.
6. კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნის შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის არ მოხდება წილისყრის გამართვა, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრისაგან თავმჯდომარე, მოადგილესა და მდივანს წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული აქვთ ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო კომისიის დანარჩენი 3 წევრი უზრუნველყოფს რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას. საარჩევნო უბნის დახურვიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე და ხმების დამთვლამდე, რეგისტრატორის ფუნქციის მქონე პირთა შორის წილისყრის საშუალებით გამოვლინდება პირველი, მეორე და მესამე მთვლელი, ხოლო საარჩევნო უბანზე დამკვირვებლების არსებობის შემთხვევაში კი დამკვირვებლები თანხმდებიან ხმის დათვლისას მეთვალყურეობის თაობაზე.

## მუხლი 3. დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესების განსაზღვრის შესახებ

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. ფიზიკურ პირს (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება ასარჩევი კანდიდატის, იგივე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი), რომელსაც სურს განახორციელოს დაკვირვება, უფლებამოსილია მიმართოს საარჩევნო კომისიას განცხადების საფუძველზე პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლის თანდართვით. დამატებითი ინფორმაციისათვის, სასურველია, დამკვირვებელმა განცხადებაში მიუთითოს დაკვირვების მიზანი და არსებობის შემთხვევაში სათანადო გამოცდილება.
3. იურიდიულ(ი) პირის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის საჭიროა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ანდა სათანადო უფლებამოსილების მქონე (პირის) განაცხადს თან ერთვოდეს განცხადების წარდგენამდე 10 დღის ვადაში განახლებული ამონაწერი, რომელიც მზადდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. (ასევე, იმ პირის/პირთა მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომლებიც ორგანიზაციის სახელით დაკვირვებას განახორციელებენ).
4. დამკვირვებლად რეგისტრაციის მსურველებმა წარდგენილ განცხადებაში უნდა აღნიშნონ ფაკულტეტი/ფაკულტეტები ან ყველა დონის საარჩევნო კომისია, სადაც განახორციელებენ დაკვირვებას.
5. დამკვირვებლად რეგისტრაციის მსურველებს რეგისტრაციის მიზნებისათვის განცხადებით მიმართვა შეუძლიათ მატერიალურად. მატერიალური სახით ორგანიზაციები განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად (აუცილებლობის შემთხვევაში) წარადგენენ უნივერსიტეტის კანცელარიაში.
6. ერთსა და იმავე საარჩევნო კომისიაზე დამკვირვებელი ორგანიზაციიდან დაკვირვებას შეიძლება ახორციელებდეს ერთი წარმომადგენელი. ერთი ორგანიზაციიდან ერთდროულად ორი წარმომადგენელი უბანზე არ დაიშვება.
7. დამკვირვებელთა რეგისტრაცია ხორციელდება საარჩევნო კომისიის ოქმის საფუძველზე და გაიცემა შესაბამისი მოწმობა.

## მუხლი 4. დამკვირვებელთა უფლებამოსილება

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:

   ა)კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად;

ბ)გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;

გ)დააკვირდეს კენჭისყრის დღეს დარღვევის ოქმების (საჩივრების) რეგისტრაციის პროცესს;

დ)კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.

2. დამკვირვებელს უფლება არ აქვს:

ა) ჩაერიოს საარჩევნო ქვეკომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;

ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;

გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;

დ) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;

ე) დაარღვიოს დებულების სხვა უფლებები.

**მუხლი 5. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება**

1. საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 08:00 სთ.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი **არიან ატარონ სამკედრე ნიშანი (მოწმობა).**
3. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები:

   3.1.საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები;

   3.2.ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრები;

   3.3.რეგისტრირებული დამკვირვებლები.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი აუცილებლად უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდეს ნიშანს (მოწმობა).

4. **საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელი ღონისძიებები:**

   4.1.საარჩევნო უბნის გახსნისას საარჩევნო ქვეკომისია ამოწმებს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინვენტარს, რომელიც აუცილებელია არჩევნების ჩატარებისათვის.

   4.2.საარჩევნო ქვეკომისიის მდივანი ავსებს სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელშიც აღირიცხება კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და დრო, მათ შორის, კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების ვინაობა, შესვლის დრო და მათი ხელმოწერა, საჩივრები, შენიშვნები და სხვა.

5. **კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის (5 ივნისი) 10:00 საათიდან 17 საათამდე; ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:**

5.1.ამომრჩეველთა ნაკადს კენჭისყრის შენობაში შესვლისას არეგულირებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; იმისათვის, რომ რიგი არ დადგეს საარჩევნო უბანზე, თითო რეგისტრატორთან დისტანციის დაცვით მხოლოდ ორი ამომრჩევლის შეშვების უფლება აქვს. ასევე, ეკითხება აქვს თუ არა მას პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა (ID-ბარათი), საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ხოლო უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში კი პირადობა ანდა პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა.აღნიშნული დოკუმენტაცია ამომრჩეველმა რეგისტრაციის მიზნით უნდა წარუდგინოს რეგისტრატორს;

5.2.ამომრჩეველს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სამაგიდე სიაში ამოწმებს წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით, რეგისტრატორი აწვდის შესაბამის ბიულეტენს, ამის შემდგომ კი ამომრჩეველი თავისი სახელისა და გვარის გასწვრივ ამომრჩეველთა სიაში აწერს ხელს, ხოლო რეგისტრატორი საარჩევნო ბიულეტენზე აწერს ხელს და სვამს ბეჭედს. ამის შემდგომ ამომრჩეველი უფლებამოსილია გადაინაცვლოს საარჩევნო კაბინაში და გამოხატოს ნება, დააფიქსიროს თავისი არჩევანი. საარჩევნო კაბინიდან გამოსული ამომრჩეველი ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ კონვერტში და შემდგომ საარჩევნო ყუთში. ამ პროცედურების გავლის შემდგომ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

5.3.ამომრჩეველთა სიაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უკავშირდება ზემდგომ საარჩევნო კომისიას სათანადო გადაწყვეტილების მიღებისათვის.

6. **კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება.** თუ რაიმე გარემოება აფერხებს კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ეს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ზემდგომ საარჩევნო კომისიას და დაელოდოს შესაბამის მითითებებს. ხოლო კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ (ზემდგომ საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციის შემდეგ) გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია; აღნიშნული გადაწყვეტილება მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერებით და საფუძვლით.

7. **საარჩევნო უბნის დახურვა:**

7.1.კენჭისყრის პროცედურა სრულდება 17:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში უთითებს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობას. როგორც კი

ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ აღარ გაიცემა წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების ბიულეტენი, კენჭისყრის დასრულების თაობაზე კი აღინიშნება სარეგისტრაციო ჟურნალში.

7.2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს სარეგისტრაციო ჟურნალში შეაქვს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი, ასევე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირის სახელი, გვარი (დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლის შემთხვევაში, მისი წარმდგენი ორგანიზაციის სახელწოდება) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

7.3. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ, კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

7.4.საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ხელმოწერების მიხედვით; ასევე, გადამოწმების მიზნით,დამატებით, გაცემულ და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას *(გაცემული ბიულეტენის რაოდენობას - გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა).* აღნიშნული მონაცემები უნდა დაფიქსირდეს სარეგისტრაციო ჟურნალში. ხოლო გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ხელმოწერების მიხედვით კომისიის მდივანმა შემაჯამებელ ოქმში უნდა დააფიქსიროს.

7.5. საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ კომისიის წევრების მონაწილეობით მიმდინარეობის ბიულეტენების დათვლა; ასევე, დახარისხდება ნამდვილი ბიულეტენები კანდიდატების მიხედვით, ბათილი და საეჭვო ბიულეტენები. საეჭვო ბიულეტენის ნადვილად ანდა ბათილად აღიარებას ახდენს საარჩევნო კომისია უმრავლესობის გადაწყვეტილებით და აღნიშნულ პროცესს ატარებს ბიულეტენთა დახარისხების შემდეგ. დათვლის პროცესში არ ერევა კომისიის წევრთა გარდა არავინ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები პროცესის ხელისშეშლისა და გონივრული დისტანციური მანძილის დაცვით აკვირდებიან პროცესს.

7.7. დახარისხებული ბიულეტენები 10-10 საარჩევნო ბიულეტენად იკვრება და შესაბამის კონვერტში განთავსდება.

8. **კენჭისყრის შედეგების შეჯამება** - ბიულეტენების დათვლის შემდგომ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი. შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მატარებელია თუ მას ხელი მოაწერა საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ. შემაჯამებელ ოქმში შეცდომის დაშვებისას დგება შესწორების ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო

ქვეკომისიის წევრები, ხოლო შემაჯამებელი ოქმში დაშვებული შეცდომის გასწვრივ იწერება - „შესწ.“, შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმშივე არ ხდება მონაცემების შეცვლა/გადასწორება. შესწორების ოქმი შემაჯამებელი ოქმის განუყოფელ დოკუმენტს წარმოადგენს.

9. საარჩევნო ბიულეტენები, სარეგისტრაციო ჟურნალის დარღვევის ოქმებთან, განცხადებებთან, ახსნა-განმარტებებთან და სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ცალ-ცალკე ილუქება პაკეტებში, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის წევრები, ამასთან, თითოეულ კონვერტზე უნდა აღინიშნოს დალუქული მასალის ტიპი, საარჩევნო უბნის დასახელება და არჩევნების თარიღი. არ ილუქება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (არსებობის შემთხვევაში - შესწორების ოქმი).
10. საარჩევნო კომისია შემაჯამებელი ოქმის შევსების შემდგომ ინვენტარს, დალუქულ მასალასა და შემაჯამებელ ოქმს წარმოადგენს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.
11. არჩევნების დღეს დარღვევის ოქმი/განცხადება/საჩივარი იწერება საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელსაც მდივანი ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში და ამასთანავე, აღნიშნავს თანმდევ შედეგებსაც, კერძოდ, დარღვევის ოქმის/განცხადები/საჩივრის დაუკმაყოფილებლობის, ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და დაკმაყოფილების თაობაზე; დარღვევის ოქმი განუხილველი დარჩება, თუ სათანადო წესით არ იყო წარმოდგენილი და თუ, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (10-15 წთ-ში) პირმა არ წარმოადგინა გასწორებული დარღვევის ოქმი/განცხადება/საჩივარი. სარეგისტრაციო ჟურნალში ტარდება ხარვეზით წარმოდგენილი დარღვევის ოქმიც და ასევე, მიეთითება ყოველი შემდგომი პროცესი და შედეგი.

## მუხლი 6. ფოტოვიდეოგადაღების წესი

1. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, აგრეთვე საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირს საარჩევნო პროცესისათვის/საარჩევნო კომისიის სხდომის მუშაობისათვის ხელის შეშლის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიის) ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიც არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.
2. ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის ოთახის გარეთ.
3. კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პერიოდის ჩათვლით, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან; ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.

4. ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ, რომელიც მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში.

**მუხლი 7. კენჭისყრის ოთახის მოწყობა**

1. კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ ყველა საჭირო საარჩევნო დოკუმენტაციას და ინვენტარს, კერძოდ:

1.1.საარჩევნო დოკუმენტაციას:
1.1.1.ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას (სამაგიდო სია - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 1 საათისა);
1.1.2.საარჩევნო ბიულეტენებს;
1.1.3.კონვერტებს;
1.1.5. სარეგისტრაციო ჟურნალს;
1.1.4.კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და „შესწორების ოქმის" ფორმას.
1.2.საარჩევნო ინვენტარს:
1.2.1.გამჭვირვალე საარჩევნო ყუთს;
1.2.2.საარჩევნო ყუთის ლუქებს;
1.2.3.კენჭისყრის კაბინებს
1.2.4.საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედს;
1.3.სხვა საარჩევნო მასალას:
1.3.1.კანდიდატთა სიას;
1.3.2.საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
1.3.3.ინფორმაციას თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
1.3.4.განცხადება/საჩივრის/დარღვევის ოქმის წარდგენის წესი
1.3.3.საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს და სხვა.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა მოაწყონ კენჭისყრის ოთახი. საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:
2.1. ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
2.2 საარჩევნო უბანზე ამომრჩევლისთვის არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა;
2.4. აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთი.

**მუხლი 8. სხვა დებულებები**

ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს და არჩევნების ჩატარების მიზნებისათვის აუცილებელია მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა, საარჩევნო პროცესების მიზნების მიღწევის შემდგომ ექვემდებარება განადგურება/წაშლას ფორმის შესაბამისად.

დანართი

სახელი გვარი

ორგანიზაციის სახელწოდება (საიდენტიფიკაციო ნომერი)

დაკვირვების განხორციელების უფლება მიენიჭა

---

(ფაკულტეტ(ებ)ი, საარჩევნო კომისია, ყველა დონის საარჩევნო კომისია)

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისა და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნები**

წინამდებარე მოწმობა გაცემულია: 2025 წლის .....

ძალაშია: 2025 წლის ..... ივნისამდე.

საარჩევნო კომისიის მდივანი .....

საარჩევნო კომისიის ბ.ა. .....

დანართი

სახელი, გვარი

----------(საარჩევნო სუბიექტი ----------ფაკულტეტზე -----
კურსზე) როგორც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლება მიენიჭა

---

(ფაკულტეტი, საუბნო საარჩევნო კომისია და ცესკო) ,

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისა და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნები**

წინამდებარე მოწმობა გაცემულია: 2025 წლის .....

ძალაშია: 2025 წლის .... ივნისამდე

საარჩევნო კომისიის მდივანი .....

საარჩევნო კომისიის ბ.ა. .....

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის კენჭისყრის

_____ფაკულტეტის

N___ საარჩევნო უბანი

საუბნო საარჩევნო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

| | | | |
|---|---|---|---|
| არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით | ამომრჩეველი | 12:00 სთ | 15:00სთ |
| | სტუდენტი | | |
| | აკადემიური პერსონალი | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |
| ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |
| მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |
| ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |
| ბათილი ბიულეტენების რაოდენობა | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |
| | სტუდენტი | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა | აკადემიური პერსონალი | | | | |
| გამოუყენელები ბიულეტენების რაოდენობა | სტუდენტი | | | | |
| | აკადემიური პერსონალი | | | | |

| N | სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |

| N | აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |

| განსხვავებული აზრი | ხელმოწერა |
|---|---|
| | |

| | |
|---|---|
| | |

| | | |
|---|---|---|
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |

ოქმის შევსების თარიღი და საათი:.....

ბ.ა.

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის კენჭისყრის**

**_____ფაკულტეტის**

**N__ საარჩევნო უბანი**

**საუბნო საარჩევნო კომისიის**

**შესწორების ოქმი**

საუბნო საარჩევნო კომისიის 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილია ცვლილებები, კერძოდ:

1. ნაცვლად ----------

---

უნდა ეწეროს ----------

---

2. ნაცვლად ----------

---

უნდა ეწეროს ----------

---

3. ნაცვლად ----------

---

უნდა ეწეროს ----------

---

4. ნაცვლად ----------

---

უნდა ეწეროს ----------

---

| | | |
|---|---|---|
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი: | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი: | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი: | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი: | | |

ბ.ა.....

ოქმის შევსების თარიღი და საათი:----------

დანართი

_____

საარჩევნო კომისიას

## განცხადება/საჩივარი/დარღვევის ოქმი

განმცხადებელი _____

სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

კენჭისყრის დღე/ არჩევნების შედეგების გასაჩივრება
გახაზეთ საჭიროებისამებრ

დარღვევის არსი

_____
_____
_____
_____

მოწმის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ (სახელი, გვარი და ფაკულტეტი)_____
_____

დარღვევის დრო _____

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება/საჩივარი და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება (მიუთითეთ შესაბამისი მოთხოვნა)

_____
_____

_____საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა :

_____/უარი ხელმოწერაზე

(გახაზეთ საჭიროების შემთხვევაში)

თარიღი:_____

განმცხადებლის ხელმოწერა_____

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის კენჭისყრის

_____ფაკულტეტის

N___ საარჩევნო უბანი

საუბნო საარჩევნო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

| | 12:00 სთ | 15:00სთ |
|---|---|---|
| არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით | | | | |
| | | | | |
| ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით | | | | |
| მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა | | | | |
| | | | | |
| წამდვილი ბიულეტენების რაოდენობა | | | | |
| | | | | |
| ბათილი ბიულეტენების რაოდენობა | | | | |
| | | | | |
| გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა | | | | |
| | | | | |
| გამოუყენელები ბიულეტენების რაოდენობა | | | | |
| | | | | |

| N | სტუდენტების წარმომადგენლობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| 4. | | | | | |

| განსხვავებული აზრი | ხელმოწერა |
| --- | --- |
| | |

| | | |
| --- | --- | --- |
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |
| საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი | | |

ოქმის შევსების თარიღი და საათი:.....

ბ.ა.

დანართი

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობისა და სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის**

_____საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი

_____ ფაკულტეტი

თარიღი: 5/06/2025

სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი:

_____საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი_____;

**პროცედურები _____საუბნო საარჩევნო კომისიის გახსნიდან საუბნო საარჩევნო კომისიის დახურვამდე.**

1. საარჩევნო უბანზე მყოფი უფლებამოსილი პირები:

(შენიშვნა: 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება და უბანზე ყოფნის უფლება აქვს: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, ზემდგომ საარჩევნო კომისიის წევრებს, რეგისტრირებულ დამკვირვებლებსა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლებს, ამომრჩეველს ხმის მიცემისათვის აუცილებელი გონივრული დროით და ცესკოს მიერ ნებადართულ მედია საშუალებას.)

მიუთითეთ უფლებამოსილ პირთა სახელი, გვარი და სტატუსი (კომისიის წევრის შემთხვევაში მიუთითეთ მინიჭებული ფუქნცია):

2. დაადასტურეთ **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისათვის კენჭისყრის დაწყება 09:00სთ-ზე** (შეგიძლიათ შემდეგი ფორმულირებით: ,,სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების კენჭისყრის დაწყება 2025 წლის 5 ივნისის 09:00სთ-ზე“ ან თუ დაგვიანებით დაიწყო კენჭისყრა, გთხოვთ, მიუთითოთ დრო და მიზეზი): _____

3. დაადასტურეთ **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებისათვის კენჭისყრის დაწყება 10:00სთ-ზე** (შეგიძლიათ შემდეგი ფორმულირებით: ,,უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების კენჭისყრის დაწყება 2025 წლის 5 ივნისის 10:00სთ-ზე“ ან თუ დაგვიანებით

დაიწყო კენჭისყრა, გთხოვთ, მიუთითოთ დრო და მიზეზი):

4. არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ კომისიის წევრთა ჩანაცვლების ფაქტი:

3.საჩივრის/განცხადებისა თუ შენიშვნის დაფიქსირება:

(მიუთეთ მომჩივანი/განმცხადებლის მონაცემები, დარღვევის არსი მოკლედ და გადაწყვეტილება შედეგებით)

4. ახსნა-განმარტება/შენიშვნა:

5.არსებობის შემთხვევაში აღნიშნეთ საარჩევნო უბნიდან პირის გაძევების ფაქტი შესაბამისი მონაცემებითა და გარემოებებით:

6. არსებობის შემთხვევაში აღნიშნეთ კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების ფაქტი და კომისიის გადაწყვეტილება:

7. სხვა:

8. დაადასტურეთ **სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებისათვის კენჭისყრის დასრულება 17:00სთ-ზე** (შეგიძლიათ შემდეგი ფორმულირებით: ,,უნივერსიტეტის წარმომადგებლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების კენჭისყრის დასრულება 2025 წლის 5 ივნისის 17:00სთ-ზე“ ან თუ დაგვიანებით დასრულდა კენჭისყრა, გთხოვთ, მიუთითოთ დრო და მიზეზი):

**<u>პროცედურები _____ საუბნო საარჩევნო კომისიის N უბნის დახურვიდან კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.</u>**

1. საარჩევნო უბანზე მყოფი უფლებამოსილი პირები:

(შენიშვნა: 2025 წლის 5 ივნისის არჩევნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება და უბანზე ყოფნის უფლება აქვს: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, ზემდგომ საარჩევნო კომისიის წევრებს, რეგისტრირებულ დამკვირვებლებსა და საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლებს.)

მიუთითეთ უფლებამოსილ პირთა სახელი, გვარი და სტატუსი:

2.განცხადების/საჩივრის/დარღვევის ოქმისა თუ შენიშვნის დაფიქსირება:

(მიუთეთ მომჩივანი/განმცხადებლის მონაცემები, დარღვევის არსი მოკლედ და გადაწყვეტილება შედეგებით)

3. ახსნა-განმარტება/შენიშვნა:

4.არსებობის შემთხვევაში აღნიშნეთ საარჩევნო უბნიდან პირის გაძევების ფაქტი შესაბამისი მონაცემებითა და გარემოებებით:

5.სხვა:

სარეგისტრაციო ჟურნალის დახურვა:

ხელმოწერა:

თარიღი და დრო:

**წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) კანდიდატთა სია (აკადემიური პერსონალი)**

**მედიცინის ფაკულტეტი:**

1. არჩილ ხომასურიძე
2. ლალი შარვაძე
3. ია კირვალიძე

**იურიდიული ფაკულტეტი:**

1. ირა აქუბარდია
2. ნინო გოგნიაშვილი

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

1. რევაზ გაჩეჩილაძე

**წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) კანდიდატთა სია (სტუდენტთა)**

**მედიცინის ფაკულტეტი (სტუდენტები)**

- დემეტრე აბესაძე

**იურიდიული ფაკულტეტი:**

- ლუკა ჯანჯღავა
- ანი ქიტიაშვილი

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ლუკა ტაბიძე

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ლუკა გერგედავა

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:**

- ნიკა სამხარაძე
- ლუკა რუხაძე
- ივა ბახტაძე
- ლუკა გიორგობიანი
- გიორგი გოროზია

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ქეთევანი ჭეიშვილი
- ქეთევან სტურუა
- მარიამ მახარობლიძე

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:**

- ლილი მამუკაშვილი
- ნინი ჯავახიშვილი